cepej
European Commission for the Efficiency of Justice
Commission européenne pour l'efficacité de la justice
COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

სტრასბურგი, 2016 წლის 7 დეკემბერი

CEPEJ(2016)5

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია
(CEPEJ)

სამართალწარმოების ევროპულ ვადებთან დაახლოება

სახელმძღვანელო განხორციელების გზების შესახებ

მიღებულია CEPEJ-ის 28-ე პლენარულ სხდომაზე 2016 წლის 7 დეკემბერს

დოკუმენტი მომზადებულია SATURN-ის ცენტრის მმართველი ჯგუფის მიერ განხორციელებული მოსამზადებელი სამუშაოების საფუძველზე, სამეცნიერო ექსპერტის (იტალია) - მარკო ფარბის ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით

სარჩევი

1.შესავალი 3

1.1. ვადების განსაზღვრის მეთოდები 4
1.2. ძირითადი მიზნები და განვითარების მიზნები 5
1.3. გამოყენების სფერო 5

2. ვადების აღწერა 6

3. ვადების განხორციელების მეთოდოლოგია 9

1.1. ნაბიჯი 1: არსებული ვითარების შეფასება 10
1.2. ნაბიჯი 2: სასამართლოში ვადების განსაზღვრა 10
1.3. ნაბიჯი 3: მონიტორინგი 11

დანართი: Excel ცხრილი, რომლის ჩამოტვირთვა CEPEJ-ის ვებგვერდიდანაა შესაძლებელი

1.შესავალი

როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ადგენს, რომ "ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება“.

ამ მიზნის მისაღწევად, გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა, სასამართლო პერსონალმა, იურისტებმა და დაინტერესებულმა მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობით უნდა შეიმუშავონ შესაბამისი ინსტრუმენტები, განსაზღვრონ პოლიტიკა, დაადგინონ პროცედურები და შესაბამისი ქმედებები.

ვადები ერთ-ერთი ასეთი ინსტრუმენტია. ვადები არ არის პანაცეა სამართალწარმოების ხანგრძლივობის შემცირებისთვის, მაგრამ მიჩნეულია, რომ ეს სასარგებლო ინსტრუმენტია სასამართლოს ფუნქციონირებისა და პოლიტიკის შეფასებისთვის, შემდეგ კი სამართალწარმოების ტემპის გასაუმჯობესებლად.

ვადები შეიძლება ჩაითვალოს საოპერაციო ინსტრუმენტებად, რადგან ისინი კონკრეტული ინდიკატორები არიან, რომელთა გამოყენებითაც შეიძლება გაიზომოს, თუ რამდენად უზრუნველყოფს თითოეული სასამართლო და, ზოგადად, მართლმსაჯულების სისტემა, საქმისწარმოების დროულად განხორციელებას და გონივრულ ვადაში სამართლიანი სასამართლო განხილვის პრინციპის დაცვას, როგორც ამას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მოითხოვს.

ვადების განსაზღვრა ფუნდამენტური ნაბიჯია იმისათვის, რომ გაიზომოს და შეფასდეს საქმისწარმოების ეფექტიანობა და კონცეპტუალურად განისაზღვროს დაგროვილი საქმეების რაოდენობის შემცირების გზები, ანუ იმ საქმეების პროცენტი, რომლებიც დაგეგმილ ვადებში განუხილველი დარჩა.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს შემდეგი მნიშვნელობა აქვთ:

სამუშაო დატვირთვა - ეს არის მთლიანი სამუშაო, რომელსაც სასამართლო, ან მოსამართლეები ახორციელებენ. ეს არის სასამართლოსა და მოსამართლეების მიერ განხორციელებული ყველა საქმიანობის ერთობლიობა (მაგ.: განსახილველი საქმეები, მართვასთან დაკავშირებული მოვალეობები, ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რომელიც სასამართლოს ან მოსამართლის საქმიანობის ნაწილია).

განსახილველად დაგროვებული საქმეების რაოდენობა - არის საქმეების რაოდენობა, რომლებიც სასამართლომ, ან მოსამართლემ უნდა განიხილოს. ეს, როგორც წესი, არის დროის გარკვეულ პერიოდში დაგროვებული მიმდინარე საქმეების რაოდენობას დამატებული შემომავალი საქმეების რაოდენობა.

განსახილველი საქმეები - არის საქმეების რაოდენობა, რომლებიც სასამართლომ, ან მოსამართლემ უნდა განიხილოს გარკვეული პერიოდის განმავლობაში (მაგალითად, 1 იანვრიდან მოყოლებული განსახილველი საქმეების რაოდენობა).

ვადები - დროის გარკვეული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული საქმეების გარკვეულ რაოდენობასთან, ან პროცენტთან დაკავშირებით, საქმეების ხანდაზმულობის გათვალისწინებით. ვადები წარმოადგენს მართვის ინსტრუმენტს, რომელიც

შესაძლოა ცენტრალურმა ხელისუფლებამ (მაგ.: მოსამართლეთა საბჭომ, უზენაესმა სასამართლომ, იუსტიციის სამინისტრომ, პარლამენტმა) და/ან სასამართლოებმა განსაზღვრონ. ვადები არ უნდა იყოს აღრეული *საპროცესო ვადებთან, ან დროის ლიმიტთან,* რომლებიც კონკრეტულად საქმეებს ეხება და, როგორც წესი, პროცედურული სამართლითაა დადგენილი. აღნიშნული გულისხმობს, რომ თუ ღონისძიება კონკრეტულ ვადებში არ განხორციელდა, ეს სამართლებრივ შედეგებს გამოიწვევს.

განუხილველი საქმეები (დაგროვებული) – ეს არის საქმეების რაოდენობა ან პროცენტი, რომლებიც დადგენილ ვადებში არ იქნა განხილული. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ყველა სამოქალაქო სამართალწარმოებისთვის დადგენილი ვადა 24 თვეს შეადგენს, განუხილველი საქმეების რაოდენობა იქნება იმ საქმეების რაოდენობა, რომლებიც 24 თვეზე მეტი ხანია, რაც წარმოებაშია მიღებული.

ვადები უნდა დადგინდეს არა მხოლოდ სამართლის სამი ძირითადი სფეროსთვის (სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციული), არამედ ასევე უნდა განისაზღვროს სასამართლოს მიერ განხილული სხვადასხვა "საქმის" კატეგორიებისთვის. ვადები უნდა განისაზღვროს ყველა სპეციფიკის კატეგორიის საქმეებისათვის (მაგალითად, საოჯახო დავები, გაკოტრებასა და შრომით საკითხებთან დაკავშირებული დავები და ა.შ.), ადგილობრივი გარემოებების, პროცედურული საკითხების, რესურსების ხელმისაწვდომობისა და სამართლებრივი გარემოს გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ არსებული ევროპული მაჩვენებლები მოცემულ სფეროში მნიშვნელოვანი გზამკვლევია ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე ვადების განსაზღვრისათვის, ასევე ევროპაში საერთო მოლოდინებისა და ხედვის ჩამოყალიბებისთვის.

მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ რაოდენობრივი მაჩვენებლები და სამიზნეები სასამართლოების ფუნქციონირებისა და სასურველი მიზნების მიღწევის თვალსაზრისით არსებული ვითარების ასახვის მხოლოდ ვიზუალური შესაძლებლობაა. მიზნების მისაღწევად საჭიროა სასამართლოებში ადეკვატური რესურსების არსებობა, ქმედითი პოლიტიკა, კარგი პროცედურული წესები და პრაქტიკა, ვალდებულების დაკისრება და კონკრეტული ქმედებების გატარება.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამართალწარმოების ხანგრძლივობა სასამართლო სისტემების მიზნების "ტრილოგიის" მხოლოდ ერთ-ერთი ნაწილია. სასამართლო სისტემის მახასიათებლებს უნდა წარმოადგენდეს: სამართლიანობა, ხელმისაწვდომობა და სამართალწარმოება გონივრულ ვადაში.

1.1. ვადების განსაზღვრის მეთოდები

მოცემულ დოკუმენტში შემოთავაზებული **ვადები** დადგინდა რამდენიმე ეტაპად ჩატარებული ანალიზის საფუძველზე: ა) სამართალწარმოების ვადების შესახებ არსებული ლიტერატურის ანალიზი; ბ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი; გ) CEPEJ-ისა და ეროვნული პარტნიორებისთვის წარდგენილი პილოტური სასამართლოებისადმი მიძღვნილი ორი კვლევის ფარგლებში შეგროვებული მონაცემების ანალიზი; დ) 2014, 2015 და 2016 წლებში CEPEJ-ის პილოტური სასამართლოების შეხვედრები და CEPEJ-ის 2015 წლის დეკემბრისა და 2016 წლის ივნისის პლენარული სხდომები.

აღნიშნული პროცესის შედეგად, წევრ სახელმწიფოებში არსებულ განსხვავებათა გათვალისწინებით, შემუშავდა ვადების ოთხი წყება (A, B, C, D).

არსებული მონაცემებიდან ნათელი გახდა, რომ ქვეყნების ნაწილი ვერ შეძლებს შემოთავაზებული ვადების შესრულებას, ხოლო ზოგიერთი ქვეყანა, სავარაუდოდ, უკეთესი ვადების დადგენასა და განხორციელებას შეძლებს.

შესაძლებელია საორიენტაციო ნიშნულად ვადების ოთხი წყების გამოყენება ყოველ ქვეყანას ან სასამართლოს შეუძლია საკუთარი ვადების განსაზღვრა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოსა და სხვადასხვა კატეგორიის საქმეებისათვის.

იგივე, ან სხვადასხვა **ვადები** უნდა განისაზღვროს მთელი სასამართლო სისტემის **ყოველი** ინსტანციისათვის (პირველი, სააპელაციო, უზენაესი სასამართლოს ინსტანცია). მაგალითად, D წყების ვადები შესაძლოა რეალისტური იყოს პირველი ინსტანციის სასამართლოებისათვის, ან სულ ცოტა, ამოსავალ წერტილად უნდა იქცეს, მაშინ როდესაც A წყების ვადები შეიძლება გამოყენებულ იქნას უზენაესი სასამართლოებისთვის.

1.2. ძირითადი მიზნები და განვითარების მიზნები

ჩვენ გვჯერა, რომ შემოთავაზებული **ვადები** არის სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში არსებული ვითარებისა და კონტექსტის გათვალისწინებით შემუშავებული პრაგმატული კომპრომისი. ეს ვადები აღქმული უნდა იქნას, როგორც წევრი სახელმწიფოების მიერ ეტაპობრივად მისაღწევი მიზნები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მართლმსაჯულების სფეროს მომსახურების გაუმჯობესებას და ევროპის მასშტაბით მსგავსი ხანგრძლივობის სამართალწარმოების დანერგვას.

აღნიშნული გულისხმობს, რომ ევროპის საბჭოს ყველა წევრი ქვეყნისთვის **A** წყების ვადები მიღწეული უნდა იყოს ყველა პროცედურისთვის; პარალელურად უნდა მოხდეს დაახლოება B და C წყების ვადებთან.

შემოთავაზებული **ვადები** უნდა ჩაითვალოს საერთო ევროპულ სამიზნე მაჩვენებლად წევრი ქვეყნებისათვის; რომლებმაც, გამომდინარე სხვადასხვა კონტექსტიდან, შემდგომში უნდა განსაზღვრონ საკუთარი ვადები ეროვნულ, რეგიონულ და სასამართლოების დონეზე.

ასევე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შემოთავაზებული ვადები წარმოადგენს მართვის ინსტრუმენტს, რომელიც სასამართლოებსა და სასამართლო სისტემაში დაგროვილ საქმეებთან გამკლავებას ემსახურება.

შესაბამისად, შემოთავაზებული ვადები არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ერთგვარი საშუალება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დარღვევის დადგენის თავიდან აცილებისათვის.
მე-6 მუხლით გათვალისწინებული გონივრული ვადა ვრცელდება ინდივიდუალური საქმეების კონტექსტში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ECtHR) არის ინსტიტუტი, რომელსაც აქვს საბოლოო უფლებამოსილება შეაფასოს, დაირღვა თუ არა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი კონკრეტულ საქმესთან მიმართებით.

ვადების პირველი წყება განკუთვნილია საქმეთა სამი ძირითადი "ჯუფისთვის" (სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციული). იგეგმება შესაბამისი ვადების განსაზღვრა საქმეთა სამივე კატეგორიის ფარგლებში არსებული სხვადასხვა საქმეისთვის.

1.3. გამოყენების სფერო

მოცემულ ეტაპზე შემოთავაზებული ვადები არ ითვალისწინებენ სააღსრულებო წარმოებას სხვადასხვა ქვეყანაში მისი სირთულისა და მრავალფეროვნების გამო. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი გაჭიანურებული სამართალწარმოების ხანგრძლივობის შეფასებისას ასევე მოიცავს აღსრულების ფაზას.

ანალოგიურად, სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებული ვადები არ ითვალისწინებს საგამოძიებო, ან "წინასასამართლო" ფაზას, არამედ შემოიფარგლება საქმის დამუშავების ხანგრძლივობით მისი სასამართლოში წარდგენის შემდეგ. თუმცა, უნდა გვესმოდეს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი სასამართლო პროცესის ხანგრძლივობის შეფასების საგამოძიებო ფაზასაც მოიცავს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ვადებთან მიმართებით, თითოეული საქმის **დაწყების თარიღად** უნდა მოიაზრებოდეს ის დღე, როდესაც საქმე სასამართლოს წარედგენა, ხოლო საქმეები შეიძლება ჩაითვალოს **განხილულად, ან გადაწყვეტილად,** როდესაც სასამართლო მიიღებს "საბოლოო გადაწყვეტილებას", რაც საქმის დასრულებას გულისხმობს.

გთავაზობთ, სამოქალაქო საქმეებში **გამოვრიცხოთ** ყველა საკითხი, რომელიც სადავო არ არის (მაგ.: „გადასახდელი თანხები, ან ამკრძალავი ორდერები, მეურვეობა და ა.შ.), რომლებიც, როგორც წესი, მიჰყვება კონკრეტულ პროცედურას და დისპოზიციის სხვა ვადები გააჩნია. ჩვენ ვიცით, რომ ეს განსხვავება ყოველთვის არ არის ნათელი სხვადასხვა წევრ სახელმწიფოებში. წევრი სახელმწიფოების კომპეტენციის ფარგლებში რჩება დაეთანხმონ, თუ არა საკითხების ასეთ გამორიცხვას.

2. ვადების აღწერა

თითოეული ვადა ითვალისწინებს საქმის სირთულეს, როგორც ამას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ადგენს.

"პრიორიტეტული საქმეები" მაქსიმალურად სწრაფად უნდა იქნას განხილული. ამ საკითხთან დაკავშირებით მიმართეთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, სადაც მსგავსი "პრიორიტეტული საქმეებია“ განსაზღვრული.

"ჩვეულებრივი საქმეები", როგორც წესი, სასამართლოს მიერ განხილული საქმეების დიდი ნაწილია. სიმარტივისთვის, ამ ეტაპზე პრიორიტეტული შემთხვევების პროცენტული მაჩვენებელი შეტანილია "ჩვეულებრივ საქმეებში“. რასაკვირველია, თითოეულ წევრ სახელმწიფოს ან სასამართლოს შეუძლია ამ კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით საკუთარი ვადების განსაზღვრა.

სასამართლოები ასევე განიხილავენ ძალიან **"რთულ საქმეებს“,** რომლებსაც შეიძლება დამატებითი დრო დასჭირდეს. ამ მიზეზით, **მხოლოდ ძალიან რთული საქმეებისთვის** გათვალისწინებულია 5%-10%-იანი ბუფერი. ასეთი საქმეები არ უნდა შეიზღუდოს იმ ვადებით, რომლებიც განსახილველი საქმეების 90-95%-ზე ვრცელდება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბუფერულ ზონაში მოქცეულ საქმეებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს და ისინი რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოექცნენ დადგენილ ვადებში.

ბუფერის 5% ან 10%-ით განსაზღვრის გადაწყვეტილება თითოეული წევრი სახელმწიფოს ან სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებში რჩება. ასევე გასათვალისწინებელია რთული საქმეების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთა განხილვაც სასამართლოებს უწევთ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლოებს უფლება აქვთ თავად განსაზღვრონ ვადები სხვადასხვა კატეგორიის საქმეებისთვის. მაგალითად, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს A ვადები სამოქალაქო სამართალწარმოებებისთვის და B ვადები - სისხლის სამართალწარმოებისთვის; A ვადები - საოჯახო დავებისთვის და C ვადები - გაკოტრების საქმეებზე.

ვადები მოქნილი ინსტრუმენტია, რომელიც უნდა მოერგოს თითოეულ კონკრეტულ კონტექსტს.

შემოთავაზებული ვადები სარეკომენდაციო ხასიათისაა და არა არის **სავალდებულო.** ვადები, ძირითადად, შემოთავაზებულია ინსტრუმენტის სახით, რომელიც შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს სახელმწიფოებისათვის, რათა დაადგინონ სამიზნე ვადები სამართალწარმოების ხანგრძლივობის გასაუმჯობესებლად. ვადები უნდა განისაზღვროს ეროვნული მართლმსაჯულების კონტექსტის გათვალისწინებით.

A ვადები

A ვადები სამოქალაქო დავებისა და ადმინისტრაციული საქმეებისათვის

ყველა სამოქალაქო დავისა და ადმინისტრაციული საქმის 90 ან 95% განხილული უნდა იქნას მათი სასამართლოსთვის წარდგენის დღიდან **18 თვის განმავლობაში.**

ბუფერი
ძალიან რთული ხასიათის განსახილველი სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების 5 ან 10%-ის ხანდაზმულობა შეიძლება აღემატებოდეს **18 თვეს**, მათი სასამართლოსთვის წარდგენის დღიდან.

A ვადები სისხლის სამართლის საქმეებისათვის

ყველა სისხლის სამართლის საქმეის 90% ან 95% განხილული უნდა იქნას მათი სასამართლოსთვის წარდგენის დღიდან **12 თვის განმავლობაში.**

ბუფერი
ძალიან რთული ხასიათის სისხლის სამართლის საქმეების 5% ან 10%-ის ხანდაზმულობა შეიძლება აღემატებოდეს, 12 თვეს მათი სასამართლოსთვის წარდგენის დღიდან.

B ვადები

B ვადები სამოქალაქო დავებისა და ადმინისტრაციული საქმეებისათვის

ყველა სამოქალაქო დავისა და ადმინისტრაციული საქმის 90% ან 95% განხილული უნდა იქნას მათი სასამართლოსთვის წარდგენის დღიდან **24 თვის განმავლობაში.**

ბუფერი
ძალიან რთული ხასიათის სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების 5% ან 10%-ის ხანდაზმულობა შეიძლება აღემატებოდეს 24 თვეს მათი სასამართლოსთვის წარდგენის დღიდან.

B ვადები სისხლის სამართლის საქმეებისათვის

ყველა სისხლის სამართლის საქმის 90% ან 95% განხილული უნდა იქნას მათი სასამართლოსთვის წარდგენის დღიდან **18 თვის განმავლობაში.**

ბუფერი
ძალიან რთული ხასიათის სისხლის სამართლის საქმეების 5% ან 10%-ის ხანდაზმულობა შეიძლება აღემატებოდეს 18 თვეს მათი სასამართლოსთვის წარდგენის დღიდან.

C ვადები

C ვადები სამოქალაქო დავებისა და ადმინისტრაციული საქმეებისათვის

ყველა სამოქალაქო დავისა და ადმინისტრაციული საქმის 90% ან 95% განხილული უნდა იქნას მათი სასამართლოსთვის წარდგენის დღიდან **30 თვის განმავლობაში.**

ბუფერი
ძალიან რთული ხასიათის განსახილველი სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების 5% ან 10%-ის ხანდაზმულობა შეიძლება აღემატებოდეს, მათი სასამართლოსთვის წარდგენის დღიდან, **30 თვეს.**

C ვადები სისხლის სამართლის საქმეებისათვის

ყველა სისხლის სამართლის საქმის 90% ან 95% განხილული უნდა იქნას მათი სასამართლოსთვის წარდგენის დღიდან **24 თვის განმავლობაში.**

ბუფერი
ძალიან რთული ხასიათის სისხლის სამართლის საქმეების 5% ან 10%-ის ხანდაზმულობა შეიძლება აღემატებოდეს 24 თვეს მათი სასამართლოსთვის წარდგენის დღიდან.

D ვადები

D ვადები სამოქალაქო დავებისა და ადმინისტრაციული საქმეებისათვის

ყველა სამოქალაქო დავისა და ადმინისტრაციული საქმის 90% ან 95% განხილული უნდა იქნას მათი სასამართლოსთვის წარდგენის დღიდან **36 თვის განმავლობაში.**

ბუფერი
ძალიან რთული ხასიათის განსახილველი სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების 5% ან 10%-ის ხანდაზმულობა შეიძლება აღემატებოდეს 36 თვეს მათი სასამართლოსთვის წარდგენის დღიდან.

D ვადები სისხლის სამართლის საქმეებისათვის

ყველა სისხლის სამართლის საქმის 90% ან 95% განხილული უნდა იქნას მათი სასამართლოსთვის წარდგენის დღიდან **30 თვის განმავლობაში.**

ბუფერი
ძალიან რთული ხასიათის სისხლის სამართლის საქმეების 5% ან 10%-ის ხანდაზმულობა შეიძლება აღემატებოდეს 30 თვეს მათი სასამართლოსთვის წარდგენის დღიდან.

ვადების შემაჯამებელი ცხრილი

სამოქალაქო დავები და ადმინისტრაციული საქმეები	ვადები	ვადები	ვადები	ვადები
	A სამიზნე	B სამიზნე	C სამიზნე	D სამიზნე
პრიორიტეტული საქმეები	განხილული უნდა იყოს 6 თვეში	განხილული უნდა იყოს 12 თვეში	განხილული უნდა იყოს 12 თვეში	განხილული უნდა იყოს 12 თვეში
ჩვეულებრივი საქმეები+ (პრიორიტეტული საქმეები)	95% - 90%	95% - 90%	95% - 90%	95% - 90%
	განხილული უნდა იყოს 12 თვეში	განხილული უნდა იყოს 24 თვეში	განხილული უნდა იყოს 30 თვეში	განხილული უნდა იყოს 36 თვეში
რთული საქმეები (ბუფერი)	5% - 10%	5% - 10%	5% - 10%	5% - 10%
	განსახილველი საქმეები 18 თვეზე მეტი ხანგრძლივობით	განსახილველი საქმეები 24 თვეზე მეტი ხანგრძლივობით	განსახილველი საქმეები 30 თვეზე მეტი ხანგრძლივობით	განსახილველი საქმეები 36 თვეზე მეტი ხანგრძლივობ

სისხლის სამართლის საქმეები	ვადები	ვადები	ვადები	ვადები
	A სამიზნე	B სამიზნე	C სამიზნე	D სამიზნე
პრიორიტეტული საქმეები	განხილული უნდა იყოს 3 თვეში	განხილული უნდა იყოს 6 თვეში	განხილული უნდა იყოს 6 თვეში	განხილული უნდა იყოს 6 თვეში
ჩვეულებრივი საქმეები+ (პრიორიტეტული საქმეები)	95% - 90%	95% - 90%	95% - 90%	95% - 90%
	განხილული უნდა იყოს 12 თვეში	განხილული უნდა იყოს 18 თვეში	განხილული უნდა იყოს 24 თვეში	განხილული უნდა იყოს 30 თვეში
რთული საქმეები	5% - 10%	5% - 10%	5% - 10%	5% - 10%
	განსახილველი საქმეები 12 თვეზე მეტი ხანგრძლივობით	განსახილველი საქმეები 18 თვეზე მეტი ხანგრძლივობით	განსახილველი საქმეები 24 თვეზე მეტი ხანგრძლივობით	განსახილველი საქმეები 30 თვეზე მეტი ხანგრძლივობ

3. ვადების განხორციელების მეთოდოლოგია

ქვემოთ წარმოდგენილია სასამართლოში ვადების იმპლემენტაციისათვის საჭირო პროცესის მოკლე აღწერა.

არსებობს სამი ძირითადი ნაბიჯი: 1) არსებული ვითარების დიაგნოსტირება; 2) სასამართლოში ვადების განსაზღვრა; 3) ვადების მონიტორინგი.

შემდგომ, მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, სასამართლოს შეუძლია სამომავლოდ განსაზღვროს სხვადასხვა ვადა (მაგ.: ერთი წლის შემდეგ), და მუდმივად ეცადოს, გააუმჯობესოს მუშაობა, ყველა საქმესთან მიმართებით A წყების ვადების დაცვის მიმართულებით.

1.1. ნაბიჯი 1: არსებული ვითარების დიაგნოსტირება

პირველ რიგში, სასამართლო ინფორმირებული უნდა იყოს სხვადასხვა ტიპის საქმეებთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესახებ (სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის) და, თუ შესაძლებელია, იმ სხვა საქმეებთან დაკავშირებითაც, რომლებიც სასამართლოს მიერ ყველაზე ხშირად განიხილება (მაგ.: საოჯახო, შრომითი, საკონტრაქტო, დელიქტები და ა.შ.).

ასეთი დიაგნოსტირება უნდა განხორციელდეს როგორც მინიმუმ უკანასკნელი 3 წლის ფარგლებში (ან უმჯობესია 5 წლისთვის), რათა შეიქმნას საკმაოდ მკაფიო წარმოდგენა სასამართლო პროცესების და საქმეთა ნაკადების შესახებ.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითი ეხება სამოქალაქო საქმეებს, მაგრამ მსგავსი ცხრილები უნდა იყოს შევსებული ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე, ხოლო შემდგომ ამ დიდ ჯგუფებში არსებული კონკრეტული კატეგორიის საქმეებზე.

გარკვეული თარიღისთვის სასამართლოს მიერ განსახილველად დაგროვებული საქმეების ხანდაზმულობა

განსახილველი სამოქალაქო საქმეები [თარიღისთვის]							
	0-12 თვე	**13-18 თვე**	**19-24 თვე**	**25-30 თვე**	**31-36 თვე**	**36 თვეზე მეტი**	**სულ განსახილველი საქმეების რაოდენობა**
განსახილველი საქმეები	500	350	100	90	20	10	1070
პროცენტი	47	33	9	8	2	1	100

საქმეების კატეგორია ……							
	0-12 თვე	**13-18 თვე**	**19-24 თვე**	**25-30 თვე**	**31-36 თვე**	**36 თვეზე მეტი**	**სულ განსახილველი საქმეების რაოდენობა**
განსახილველი საქმეები	250	80	20	30	10	0	390
პროცენტი	64	21	5	8	3	0	100

1.2. ნაბიჯი 2: სასამართლოში ვადების განსაზღვრა

როდესაც სასამართლომ იცის, დაახლოებით რა ვადებში განიხილება სხვადასხვა კატეგორიის საქმე(სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის) და ასევე მისთვის ცნობილია კონკრეტული კატეგორიის საქმეებთან დაკავშირებული დამატებითი მონაცემები, შესაძლებელი ხდება საქმეთა განხილვის რეალისტური ვადების დადგენა მომავალი წლისთვის. სასამართლოს მიერ დადგენილი ვადები შეიძლება თავიდანვე არ იყოს სრულ შესაბამისობაში კანონით, ან ზემდგომი სასამართლო ხელისუფლების (მაღალი ინსტანციის სასამართლო, იუსტიციის უმაღლესი საბჭო და სხვა) მიერ დადგენილ ვადებთან. ამ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ დადგენილი ვადები არის საშუალედო ნაბიჯი, რათა საბოლოოდ მიღწეული იქნას ზემოაღნიშნული ვადები, ან შესრულდეს სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებული სამართლებრივი მოთხოვნები.

უფრო კონკრეტული ვადები შეიძლება დადგინდეს საქმეების კონკრეტული კატეგორიებისთვის, თუ სასამართლოს აქვს შესაბამისი მონაცემები საქმეების კატეგორიების მიხედვით.

1.3. ნაბიჯი 3: მონიტორინგი

სულ ცოტა, ყოველი წლის ბოლოს, სასამართლომ უნდა შეავსოს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი, რათა მონიტორინგი გაუწიოს დასახული ვადების შესრულების პროცესს. განსაკუთრებით სასარგებლო იქნება სიტუაციის მონიტორინგი არა მხოლოდ წლის ბოლოს, არამედ უფრო ხშირად, თუნდაც, ყოველ სამ თვეში. ასეთი გზით შესაძლებელი იქნებოდა ადრე არსებული პრობლემების გამოვლენა და შესაბამისი ზომების გატარება (იხ. კერძოდ, SATURN- ის სახელმძღვანელო მითითებები სასამართლოში დროის მენეჯმენტის შესახებ) დასახული ვადების შესასრულებლად.

„გარკვეული თარიღისთვის სასამართლოს მიერ განსახილველად დაგროვებული საქმეების ხანდაზმულობის“ ცხრილი უნდა შეივსოს მხოლოდ "განსახილველი საქმეების" ნაწილში.

პროცენტული წილი და განსახილველი საქმეები, რაშიც იგულისხმება დადგენილ ვადებში განუხილველი საქმეების პროცენტული მაჩვენებელი, ავტომატურად გამოითვლება თანდართული ცხრილების მეშვეობით.

უარყოფითი რიცხვი განსაზღვრავს იმ შემთხვევების პროცენტულ რაოდენობას, რომელთა განხილვის ვადები უკეთესია, ვიდრე სასამართლოს მიერ დადგენილი ვადები. ეს შეიძლება დაეხმაროს უკეთესი ვადების დადგენას მომდევნო წლისთვის.

თუ არსებობს განსახილველად დაგროვებული საქმეების რაოდენობა, უნდა შემუშავდეს შესაბამისი პოლიტიკა და უნდა განხორციელდეს ზომები, რათა თავიდან იქნას აცილებული, ან მინიმუმამდე შემცირდეს ასეთი საქმეების რაოდენობა.

ქვემოთ მოცემულ მაგალითებში ნაჩვენებია ვადები და დაგროვებული საქმეების რაოდენობა. ჩვენ შევუსაბამეთ მონაცემები შემოთავაზებულ ვადებს.

გარკვეული თარიღისთვის სასამართლოს მიერ განსახილველად დაგროვებული საქმეების ხანდაზმულობა

[თარიღისთვის] დაგროვებული განსახილველი სამოქალაქო საქმეების რაოდენობა							
	0-12 თვე	**13-18 თვე**	**19-24 თვე**	**25-30 თვე**	**31-36 თვე**	**36 თვეზე მეტი**	**სულ განსახილველი საქმეების რაოდენობა**
განსახილველი საქმეები	500	400	20	50	30	0	1000
პროცენტი	50	40	2	5	3	0	100
A ვადები			განსახილველი (ბუფერი 5%)				
მონიტორინგი			5				
A ვადები			განსახილველი (ბუფერი 10%)				
მონიტორინგი			0				

B ვადები					განსახილველი (ბუფერი 5%)		
მონიტორინგი					3		
B ვადები					განსახილველი (ბუფერი 10%)		
მონიტორინგი					-2		
C ვადები					განსახილველი (ბუფერი 5%)		
მონიტორინგი					-2		
C ვადები					განსახილველი (ბუფერი 10%)		
მონიტორინგი					-7		
D ვადები						განსახილველი (ბუფერი 5%)	
მონიტორინგი						-5	
D ვადები						განსახილველი (ბუფერი 10%)	
მონიტორინგი						-10	

როგორც ცხრილი გვიჩვენებს:

A ვადები მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ ბუფერი (რთული საქმეებისთვის) განისაზღვრება 10% -ით. თუ ბუფერი განისაზღვრება 5% -ის ფარგლებში, მაშინ განსახილველად დაგროვებული საქმეების რაოდენობა 5% იქნება. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ბუფერულ ზონაში მოქცეული საქმეები განუხილველი საქმეებია, მიუხედავად იმისა, რომ ვადები ფორმალურად დაცულია, აღნიშნული საქმეები რაც შეიძლება სწრაფად უნდა განიხილონ.

B ვადები მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ საქმეების 2%-თან დაკავშირებით უკეთესი შედეგი უნდა იყოს მიღწეული, ვიდრე იმ ვადების შემთხვევაში, როდესაც ბუფერი 10%-ია. იმ შემთხვევაში, თუ ბუფერი 5% -ია, განსახილველად დაგროვებული საქმეების რაოდენობა 3%-ს წარმოადგენს, რაც ნიშნავს, რომ საქმეების 8% 24 თვეზე მეტი ხანდაზმულობისაა.

C ვადები მიიღწევა ორივე ბუფერის შემთხვევაში. თუ ბუფერი 5% -ს შეადგენს, საქმეების 2%-თან დაკავშირებით უკეთესი შედეგი უნდა იყოს მიღწეული, ვიდრე დადგენილი ვადითაა გათვალისწინებული. თუ ბუფერი10% -ს შეადგენს, საქმეების 7%-თან დაკავშირებით უკეთესი შედეგი უნდა იყოს მიღწეული, ვიდრე დადგენილი ვადითაა გათვალისწინებული. თუმცა, არ უნდა დაავიწყდეს, რომ საქმეების 3%-ზე მეტი 30 თვეზე მეტი ხანდაზმულობისაა.

D ვადები მიიღწევა ორივე ბუფერის შემთხვევაში, როცა არ არის საქმეები, რომელთა ხანდაზმულობა 36 თვეზე მეტია.შესაბამისად, 5%-იანი ბუფერის შემთხვევაში განსახილველი საქმეების რაოდენობა არის 5%, ხოლო 10%-იანი ბუფერის შემთხვევებში - 10%.

მოცემული ცხრილი გამოიყენება სხვადასხვა კატეგორიის საქმეებთან დაკავშირებით ვადების მონიტორინგისა და შემდგომი პერიოდისთვის რეალისტური მიზნების დასახვის მიზნით.

მონიტორინგის პროცესის საფუძველზე სასამართლომ უნდა დააკორექტიროს ვადები წელიწადში ერთხელ მაინც. შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებისა და ზომების გატარების გზით, შესაძლოა, დაისახოს A-თან მიახლოებული ვადები რათა კონვენციის მე-6 მუხლით

გათვალისწინებული გონივრული ვადის მოთხოვნა დაცულიიქნას გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხარისხის გაუარესების გარეშე.

დანართი: Excel ცხრილის ნიმუში, რომელიც უნდა შეივსოს (ვადების ცხრილის ჩამოტვირთვა შესაძლებელიაCEPEJ-ის ვებ გვერდიდან).

სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები

ქვეყანა:
სასამართლო:
იურისდიქცია:

გარკვეული თარიღისთვის სასამართლოს მიერ განსახილველად დაგროვებული საქმეების ხანდაზმულობა

31.12.2016-თვის დაგროვებული განსახილველი სამოქალაქო საქმეების რაოდენობა							
	0-12 თვე	**13-18** თვე	**19-24** თვე	**25-30** თვე	**31-36** თვე	**36** თვეზე მეტი	სულ განსახილველი საქმეების რაოდენობა
განსახილველი საქმეები	500	350	100	90	20	10	1070
პროცენტი	47	33	9	8	2	1	100

[თარიღისთვის] განსახილველად დაგროვებული საქმეების კატეგორია							
	0-12 თვე	**13-18** თვე	**19-24** თვე	**25-30** თვე	**31-36** თვე	**36** თვეზე მეტი	სულ განსახილველი საქმეების რაოდენობა
განსახილველი საქმეები							0
პროცენტი	#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!

სამოქალაქო საქმეების მონიტორინგი

ქვეყანა:

სასამართლო:

იურისდიქცია:

გარკვეული თარიღისთვის სასამართლოს მიერ
განსახილველად დაგროვებული საქმეების
ხანდაზმულობა

31.12.2016-თვის განსახილველად დაგროვებული სამოქალაქო საქმეების მაგალითები							
განსახილველი საქმეები	**0-12 თვე**	**13-18 თვე**	**19-24 თვე**	**25-30 თვე**	**31-36 თვე**	**36 თვეზე მეტი**	**სულ განსახილველი საქმეების რაოდენობა**
	500	400	20	50	30	0	1000
პროცენტი	50	40	2	5	3	0	100
A ვადები				განსახილველი (ბუფერი 5%)			
მონიტორინგი				5			
A ვადები				განსახილველი (ბუფერი 10%)			
მონიტორინგი				0			
B ვადები					განსახილველი (ბუფერი 5%)		
მონიტორინგი					3		
B ვადები					განსახილველი (ბუფერი 10%)		
მონიტორინგი					-2		
C ვადები						განსახილველი (ბუფერი 5%)	
მონიტორინგი						-2	
C ვადები						განსახილველი (ბუფერი 10%)	
მონიტორინგი						-7	
D ვადები						განსახილველი (ბუფერი 5%)	
მონიტორინგი						-5	
D ვადები						განსახილველი (ბუფერი 10%)	
მონიტორინგი						-10	

[თარიღისთვის] დაგროვებული განსახილველი საქმეების კატეგორიები							
განსახილველი საქმეები	**0-12 თვე**	**13-18 თვე**	**19-24 თვე**	**25-30 თვე**	**31-36 თვე**	**36 თვეზე მეტი**	**სულ განსახილველი საქმეების რაოდენობა**
							0
პროცენტი	#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!
A ვადები				განსახილველი (ბუფერი 5%)			
მონიტორინგი				#DIV/0!			
A ვადები				განსახილველი (ბუფერი 10%)			
მონიტორინგი				#DIV/0!			
B ვადები					განსახილველი (ბუფერი 5%)		
მონიტორინგი					#DIV/0!		
B ვადები					განსახილველი (ბუფერი 10%)		
მონიტორინგი					#DIV/0!		
C ვადები						განსახილველი (ბუფერი 5%)	
მონიტორინგი						#DIV/0!	
C ვადები						განსახილველი (ბუფერი 10%)	
მონიტორინგი						#DIV/0!	
D ვადები							განსახილველი (ბუფერი 5%)
მონიტორინგი							#DIV/0!
D ვადები							განსახილველი (ბუფერი 10%)
მონიტორინგი							#DIV/0!

სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგი

ქვეყანა:
სასამართლო:
იურისდიქცია:

გარკვეული თარიღისთვის სასამართლოს მიერ განსახილველად დაგროვებული საქმეების ხანდაზმულობა

31.12.2016-თვის განსახილველად დაგროვებული სისხლის სამართლის საქმების მაგალითები							
	0-6 თვე	**07-12** თვე	**13-18** თვე	**19-24** თვე	**25-30** თვე	**30** თვეზე მეტი	სულ განსახილველი საქმეების რაოდენობა
განსახილველი საქმეები	200	140	50	10	20	0	420
პროცენტი	48	33	12	2	5	0	100

[თარიღისთვის] დაგროვებული განსახილველი საქმეების კატეგორიები							
	0-12 თვე	**13-18** თვე	**19-24** თვე	**25-30** თვე	**31-36** თვე	**36** თვეზე მეტი	სულ განსახილველი საქმეების რაოდენობა
განსახილველი საქმეები							0
პროცენტი	#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!

სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგი

ქვეყანა:
სასამართლო:
იურისდიქცია:

გარკვეული თარიღისთვის სასამართლოს მიერ განსახილველად დაგროვებული საქმეების ხანდაზმულობა

31.12.2016-თვის							
განსახილველი საქმეები	**0-6 თვე**	**07-12 თვე**	**13-18 თვე**	**19-24 თვე**	**25-30 თვე**	**30 თვეზე მეტი**	**სულ განსახილველი საქმეების რაოდენობა**
	250	130	80	35	10	2	507
პროცენტი	49	26	16	7	2	0	100
A ვადები				განსახილველი (ბუფერი 5%)			
მონიტორინგი				20			
A ვადები				განსახილველი (ბუფერი 10%)			
მონიტორინგი				15			
B ვადები					განსახილველი (ბუფერი 5%)		
მონიტორინგი					4		
B ვადები					განსახილველი (ბუფერი 10%)		
მონიტორინგი					-1		
C ვადები						განსახილველი (ბუფერი 5%)	
მონიტორინგი						-3	
C ვადები						განსახილველი (ბუფერი 10%)	
მონიტორინგი						-8	
D ვადები						განსახილველი (ბუფერი 5%)	
მონიტორინგი						-5	
D ვადები						განსახილველი (ბუფერი 10%)	
მონიტორინგი						-10	

[თარიღისთვის] დაგროვებული განსახილველი საქმეების კატეგორიები							
განსახილველი საქმეები	**0-12** თვე	**13-18** თვე	**19-24** თვე	**25-30** თვე	**31-36** თვე	**36** თვეზე მეტი	სულ განსახილველი საქმეების რაოდენობა
							0
პროცენტი	#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!
A ვადები				განსახილველი (ბუფერი 5%)			
მონიტორინგი				#DIV/0!			
A ვადები				განსახილველი (ბუფერი 10%)			
მონიტორინგი				#DIV/0!			
B ვადები					განსახილველი (ბუფერი 5%)		
მონიტორინგი					#DIV/0!		
B ვადები					განსახილველი (ბუფერი 10%)		
მონიტორინგი					#DIV/0!		
C ვადები						განსახილველი (ბუფერი 5%)	
მონიტორინგი						#DIV/0!	
C ვადები						განსახილველი (ბუფერი 10%)	
მონიტორინგი						#DIV/0!	
D ვადები						განსახილველი (ბუფერი 5%)	
მონიტორინგი						#DIV/0!	
D ვადები						განსახილველი (ბუფერი 10%)	
მონიტორინგი						#DIV/0!	